



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანდრონიკაშვილი კირა გიორგის ასული



კ. ანდრონიკაშვილი

ანდრონიკაშვილი კირა გიორგის ასული (16. XI. 1908, თბილისი, - 24. II. 1960, იქვე), კინომსახიობი, რეჟისორი. სწავლობდა თსუ-ის სოციალ.-ეკონ. ფაკ-ტის იურიდიულ განყ-ბაზე, დაამთავრა-(1928), პარალელურად მუშაობდა საქართვ. „სახკინმრეწვში“ მსახიობად, მონაწილეობდა ი. პერესტიანის („სამი სიცოცხლე“, 1924; „ტარიელ მკლავადის მკვლელობის საქმე“, 1925) და ვ. ბარსკის („მეცხრე ტალღა“, 1926) ფილმებში. სამსახიობო კარიერის გვირგვინად იქცა მთავარი როლი ფილმში „ელისო“ (რეჟ. ნ. შენგელაია, 1928). შემდეგ სწავლა გააგრძელა ი. ზავაძის თეატრ-სტუდიაში. 1929-31 იყო კინოსტუდია „ვოსტოკფილმის“ მსახიობი, მონაწილეობდა ფილმებში: „მინას სწყურია“ (ჯამალა, რეჟ. ი. რაიზმანი, 1929),

„ზელიმ-ხანი“ (ზელიმ-ხანის ცოლი, რეჟ. ო. ფრელიხი, 1929), „უდაბნო“ (აქტივისტი, რეჟ. ნ. სანიშვილი, 1932). კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტის (ს. ეიზენშტეინის სახელოსნო, 1936) დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო რეჟისორის ასისტენტად კინოსტუდია „სოიუზდეტფილმში“. სტალინური რეპრესიების დროს, როგორც „ხალხის მტრად“ გამოცხადებული მწერლის _ ბ. პილნიაკის მეუღლე, გადაასახლეს აკმოლინსკში, „სამშობლოს მოღალატეთა ცოლების ბანაკში“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა „თბილისის კინოსტუდიაში“ რეჟისორის ასისტენტად, მეორე რეჟისორად, დუბლიაჟის რეჟისორად. როგორც მსახიობი მონაწილეობს ფილმებში: „შავ მთებში“ (სტეფანეს ცოლი, რეჟ. ნ. შენგელაია, 1941), „ის კიდევ დაბრუნდება“ (დედა, რეჟ. ბი. ნ. შენგელაია, დ. ანთაძე, 1943), „ჭირვეული

მეზობლები“ (რეჟ. შ. მანაგაძე, 1945), „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე...“, (ბანოვანი, რეჟ. კ. პიპინაშვილი, 1958), „ზვიგენის კბილი“ (ალის დედა, რეჟ. შ. გედევანიშვილი, 1959, ალის დედა).

მ. კერესელიძე
